# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№503 2020 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

**ა(ა)იპ – კოლეჯ „პრესტიჟისათვის“ სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემაზე სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს თანხმობა, თავის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე (მისამართი: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №53.20.42.052) მდებარე სამი ოთახი: №7ა სასწავლო აუდიტორია (41,89 კვ. მ), №16 სასწავლო აუდიტორია (61,227 კვ. მ), №20 ადმინისტრაციული ოთახი (39,694 კვ. მ) დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში, თხოვების ფორმით გადასცეს ა(ა)იპ – კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/ნ: 231287005) 2020 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**